

დამტკიცებულია:

„აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის“

გამგეობის 2016 წლის 10 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით

ა(ა) „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ

მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“

განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტის დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1. განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) წარმოადგენს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის (შემდგომში „აბფმფ“) მუდმივმოქმედ ორგანოს;

1.2. „კომიტეტი“ შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის, აგრეთვე „საბფმფ“ - ის წესდების მოთხოვნებიდან გამომდინარე;

1.3. წინამდებარე დებულება არეგულირებს „განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტის“ სტრუქტურული მოწყობის და ფუნქციონირების საკითხებს;

1.4. „კომიტეტი“ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით, „აბფმფ“ - ის წესდებით, „აბფმფ“ - ის წევრთა საერთო კრებისა და „აბფმფ“ -ის გამგეობის გადაწყვეტილებით; ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის დებულებებითა და ნორმატივებით (სტანდარტებით);

1.5. „კომიტეტის“ ამტკიცებს „აბფმფ“ - ის გამგეობა.

2. კომიტეტის მიზნები და ამოცანები

2.1. „კომიტეტის“ მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა მაღალპროფესიული კადრების მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას;

2.1.1. მონაწილეობა მიიღოს „საბფმფ“-ის მიერ ორგანიზებული სტანდარტების შემუშავებაში და მათ დანერგვაში.

2.2. „კომიტეტის ამოცანებია:

2.2.1 „საბფმფ“-ის წევრებისა და სხვა პირების კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების უზრუნველყოფა;

2.2.2 „კომიტეტის“ ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

➤ აუდიტორების, სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტერთა და სერტიფიცირებულ ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლება;

➤ პროფესიონალი ბუღალტრების კვალიფიკაციის ამაღლების, ატესტაციისა და მომზადების საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილების შესწავლა და განზოგადება.

➤ პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სპეციალური კურსების მომზადება და სრულყოფა

➤ სხვა სახის სწავლების ორგანიზება (ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური მენეჯმენტის, საგადასახადო კონსულტაციების და სხვა მსგავსი მომსახურების სფეროში კადრების მომზადება და გადამზადება);

➤ პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მათი მომზადებისა და ატესტაციისთვის საჭირო სასწავლო და დამხმარე მასალების მომზადება

➤ ტრენერთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებების მომზადება

➤ პროფესიონალი ბუღალტრების დისტანციური სწავლების ორგანიზება

➤ სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტერთა და სერტიფიცირებულ ბუღალტერთა სერტიფიკატის მსურველ პირთათვის ატესტაციის ჩატარების უზრუნველყოფა;

➤ პროფესიონალი ბუღალტრების ცოდნის კომპიუტერული ტესტირების მეთოდის დამუშავება

➤ პროფესიონალი ბუღალტრების საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების მოძიება და დანერგვა

➤ „აბფმფ“-ის წევრებს (აუდიტორები და აუდიტური ფირმების თანამშრომლები) შორის „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზება ბუღალტრული აღრიცხვისა და დაბეგვრის რთული საკითხების ირგვლივ, რათა „აბფმფ“-ის წევრებმა მოახდინონ სამართლებრივი პოზიციის ფორმირება იმ საკამათო საკითხებში, რომელიც წარმოიქმნება აუდიტებული პირების სამეურნეო საქმიანობაში;

➤ „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზება ფინანსების, აუდიტის, სამწერამეო და სხვა სამეურნეო საქმიანობის სფეროების სხვადასხვა საკითხებში;

2.2.3. მონაწილეობა მიიღოს „საბფმფ“ ეგიდით მოწყობილ მსურველთა ატესტაციაში;

2.2.4. სერთიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტერთა და სერთიფიცირებულ ბუღალტერთა და სხვა პირთა დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული მომზადების განხორციელებისთვის სასწავლო პროგრამებისა და გეგმების შემუშავება;

2.2.5. დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემუშავება და განხორციელება;

2.2.6. „კომიტეტის“ წინაშე განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში წარმოქმნილი სხვა საკითხების გადაწყვეტა.

3. „კომიტეტის“ შემადგენლობა და მუშაობის წესი

3.1. „კომიტეტის“ შემადგენლობა ფორმირდება „საბფმფ“-ის წევრებისაგან. „კომიტეტის“ წევრად შეიძლება მოწვეული და არჩეული იქნას „საბფმფ“-ის არაწევრი პირები, მაგრამ არაუმეტეს „კომიტეტის“ შემადგენლობის 1/5-ისა;

3.2. „კომიტეტის“ რაოდენობრივ და პროფესიულ შემადგენლობებს ამტკიცებს „საბფმფ“-ის გამგეობა „კომიტეტის“ თავმჯდომარის წარდგინებით;

3.3. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პროფესიული განათლების კომიტეტის წევრები, რომლებიც ცნობილნი არიან პროფესიულ სფეროში, ან/და ეწევიან პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას.

3.3.1. კომიტეტის წევრებისგან და სხვა მოზიდული სპეციალისტებისგან შეიძლება შეიქმნას კომისიები. კომისიების შემადგენლობა მტკიცდება „საბფმფ“-ის საერთო კრებაზე. კომისიები:

- პროფესიონალი ბუღალტრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ატესტაციის კომისია;
- საგამოცდო ბილეთებისა და ტესტების კომისია.

3.4. „კომიტეტი“ აირჩევა სამი წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდგომ „კომიტეტი“ აგრძელებს თავისი ფუნქციების შესრულებას ახალი შემადგენლობის არჩევამდე. „კომიტეტის“ ყოველი წევრი შეიძლება არჩეული იქნას ახალი ვადით, ახალი ვადით არჩევა შეზღუდული არ არის;

3.5. „კომიტეტის“ ყოველს წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება;

3.6. თავისი საქმიანობის წარმატებით განხორციელების მიზნით „კომიტეტი“ უფლებამოსილია „კომიტეტის“ სხდომაზე მოიწვიოს „აბფმფ“-ის წევრი და არაწევრი სპეციალისტები სათათბირო ხმის უფლებით;

3.7. „კომიტეტის“ თავმჯდომარეს ამტკიცებს „აბფმფ“-ის გამგეობა;

3.8. თავმჯდომარე უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, „საბფმფ“-ის გამგეობის წინაშე დააყენოს „კომიტეტის“ შემადგენლობიდან წევრების გაყვანის საკითხი;

3.9. „კომიტეტის“ სხდომა იმართება არანაკლებ სამ თვეში ერთხელ;

3.10. „კომიტეტის“ სხდომებს ატარებს მისი თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში და თუ თავმჯდომარეს არავითარი მითითება არ ექნება მიცემული „კომიტეტის“ დამსწრე წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს;

3.11. „კომიტეტის“ სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. „კომიტეტის“ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სხდომის მონაწილე წევრთა უბრალო უმრავლესობა;

3.12. „კომიტეტის“ თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია „საბფმფ“ გამგეობისა და საერთო კრების წინაშე.